

პამელა ტრევერსი

გსმენია რამე მერი პოპინსის შესახებ? ის მსოფლიოში ყველა ზავშვისთვის საოცნებო ძიძაა. ნაიკითხე ტექსტი და გაიგებ, რატომ გახდა იგი რამდენიმე წიგნის მთავარი პერსონაჟი.



პამელა ტრევერსი ცნობილი ინგლისელი მწერალია. ის 1899 წელს ავსტრალიაში დაიბადა. წერა ბავშვობიდან დაიწყო. ხშირად და-ძმას თავისი ზღაპრებით ართობდა. მისი პიესების მიხედვით კი სკოლაში **სპექტაკლები** იდგმებოდა. 1919 წელს **გამოქვეყნდა** პამელას პირველი **პოემა**.

1923 წელს ტრევერსი ინგლისში გაემგზავრა. მან იქ თეატრში დაიწყო მუშაობა. თუმცა უფრო მეტ დროს წერას უთმობდა.

1934 წელს გამოვიდა „მერი პოპინსი“. ამ დროს ავტორი 35 წლის იყო. სწორედ ეს ნაწარმოები იქცა საბავშვო ლიტერატურის **შედევრად**. წიგნი მაშინვე შეიყვარეს ბავშვებმა. ისინი მოუთმენლად ელოდნენ პოპინსის ახალ ისტორიას. ის კი არ ჩანდა. ბავშვები წერილს წერილზე სწერდნენ ავტორს. მისგან ამბის გაგრძელებას ითხოვდნენ. „თქვენ მერი პოპინსი სხვაგან გაგზავნეთ! ამის პატიება ძალიან ძნელია! თქვენ ხომ ამით ბევრ ბავშვს ატკინეთ გული!“ – **საყვედურს** ვერ მალავდნენ ისინი. პამელა ტრევერსზე ძალიან იმოქმედა პატარების **წუხილმა**. მან მოთხოვნის გაგრძელება **განიზრახა**. 1935 წელს ასე შეიქმნა ახალი წიგნი – „მერი პოპინსი ბრუნდება“.

მას შემდეგ ტრევერსმა კიდევ ექვსი წიგნი დაწერა მერი პოპინსზე. 1944 წელს გამოჩნდა „მერი პოპინსი ალებს კარს“. 1952 წელს – „მერი პოპინსი პარკში“. და ასე, თითქმის ყოველ ათ წელიწადში ერთხელ, იბეჭდებოდა ახალი წიგნი პოპინსის სახალისო ამბებით. 1988 წელს გამოვიდა ძიძის თავგადასავლების ბოლო წიგნი – „მერი პოპინსი და სახლი მეზობლად“.

1964 წელს დისნეის სტუდიამ „მერი პოპინსი“ ფილმად გადაიღო. მთავარ როლს ასრულებდა ჯული ენდრიუსი. ფილმმა ხუთი ოსკარი (ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო) მიიღო.

პამელა ტრევერსი 1996 წელს გარდაიცვალა 96 წლის ასაკში. მისი „მერი პოპინსი“ დღემდე რჩება ბავშვების ერთ-ერთ საყვარელ წიგნად მთელ მსოფლიოში. იგი უამრავ ენაზეა თარგმნილი.

რას მისწერდი პამელა ტრევერსს, როგორც „მერი პოპინსის“ ავტორს?

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტის პირველ აბზაცში საუბარია იმის შესახებ, თუ:

- ა) ვინ არის პამელა ტრევერსი.
- ბ) სად დაიბადა პამელა ტრევერსი.
- გ) როდის დაიწყო პამელა ტრევერსმა წერა.

2 პამელა ტრევერსი ავსტრალიიდან ინგლისში გაემგზავრა მას შემდეგ, რაც:

- ა) „მერი პოპინსი“ ძალიან მოეწონათ ბავშვებს.
- ბ) მისი პირველი მხატვრული ნაწარმოები დაიბეჭდა.
- გ) პირველად დაიბეჭდა წიგნი – „მერი პოპინსი“.

3 პამელა ტრევერსმა ბავშვებისგან წერილის მიღების შემდეგ გადაწყვიტა:

- ა) თავისი პირველი პოემა გამოექვეყნებინა.
- ბ) თეატრში განეგრძო მსახიობად მუშაობა.
- გ) მერი პოპინსის შესახებ განეგრძო წერა.

4 პამელა ტრევერსის გარდაცვალების შემდეგ:

- ა) დისნეის სტუდიამ გადაიღო ფილმი „მერი პოპინსი“.
- ბ) „მერი პოპინსი“ არ დაუკარგავს პოპულარობა.
- გ) ფილმი „მერი პოპინსი“ ოსკარით დაჯილდოვდა.

5 რა არის ტექსტის მთავარი მიზანი?

- ა) გაგვაცნოს, ვინ შეასრულა მერი პოპინსის როლი.
- ბ) გაგვაცნოს, როგორ გახდა ტრევერსი ცნობილი მწერალი.
- გ) გაგვაცნოს, როგორი ბავშვი იყო პამელა ტრევერსი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვეე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. 1919 წელს პამელა ტრევერსის პოემა **გამოქვეყნდა**.
 ა) გავრცელდა. ბ) დაიბეჭდა. გ) დაინერა.
2. პატარები **საყვედურს** ვერ მალავდნენ.
 ა) გაკვირვებას. ბ) სიხარულს. გ) უკმაყოფილებას.
3. პამელაზე ბავშვების **წუხილმა** იმოქმედა.
 ა) დარდმა. ბ) თხოვნამ. გ) მოუთმენლობამ.
4. მან მოთხრობის გაგრძელება **განიზრახა**.
 ა) გადადო. ბ) გადაიფიქრა. გ) გადანწყვიტა.

2 დააკავშირე ხაზებით სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

- | | |
|--------------|---|
| 1. პოემა | თეატრალური წარმოდგენა. |
| 3. შედეგრი | ნაწარმოები, რომელშიც ამბავი ლექსად არის მოთხრობილი. |
| 2. სპექტაკლი | საუკეთესო, სანიმუშო ნაწარმოები, ქმნილება. |

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. პამელა და-ძმას ----- ზღაპრებით ართობდა. (თავისი / მისი)
2. სპექტაკლები იდგმებოდა----- პიესების მიხედვით. (თავისი / მისი)

2 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.

1. ახალმა (ფილმი) ----- ხუთი ოსკარი მიიღო.
2. რეჟისორმა პოპინსის (თავგადასავალი) ----- ფილმად გადალება გადანწყვიტა.

გრამატიკა

3 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

☒ შედევრათ.

☐ შედევრად.

1. ☐ ექესი წიგნები.

☐ ექესი წიგნი.

2. ☐ ისინი მალავდენ.

☐ ისინი მალავდნენ.

4. ☐ და-ძმა.

☐ დაძმა.

5. ☐ ამბავის.

☐ ამბის.

წერა

1 შეარჩიე პამელა ტრევესის ბიოგრაფიიდან შენთვის უფრო მნიშვნელოვანი ოთხი თარიღი და შეავსე სქემა – დროის ლერძი.

1899 წელი

2 გაიხსენე შენი საყვარელი ნაწარმოების ავტორი და მისწერე მას წერილი.

დაიწყე წერილი მისალმებით. შემდეგ გამოხატე შენი დამოკიდებულება ნაწარმოების მიმართ (რა მოგეწონა და რატომ). ბოლოს დაწერე, შენი სურვილი და თხოვნა. მიუთითე შენი სახელი.
